საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

2019

III კვარტალი

24.12.2019

www.geostat.ge

24.12.2019

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

2019 წლის III კვარტალი

მშენებლობის ღირებულების ინდექსი წინა კვარტალთან შედარებით 4.6 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება განპირობებული იყო სამეწარმეო სფეროში მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 13.4 პროცენტიანი მატებით, რამაც 3.85 პროცენტული პუნქტით მოახდინა ზეგავლენა მთლიან ინდექსზე.

წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 6.0 პროცენტით. ინდექსის ზრდა, ძირითადად, გამოწვეული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 16.6 პროცენტიანი ზრდით, რაც 4.54 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2019 წლის მესამე კვარტალში მშენებლობის ღირებულების ინდექსი წინა კვარტალთან და წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ხარჯების კატეგორიების შესაბამისი წვლილები:

ხარჯების კატეგორიები	2019 წლის II კვარტალთან	წვლილი*კვარტალის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2018 წლის III კვარტალთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
სულ	**104.6**	**4.57**	**106.0**	**6.05**
სამშენებლო მასალები	101.2	0.65	101.8	1.02
ხელფასები	113.4	3.85	116.6	4.54
მანქანა-დანადგარები	100.0	0.00	100.0	0.00
ტრანსპორტირება, საწვავი, ელექტროენერგია	101.6	0.02	103.8	0.04
სხვა ხარჯი	100.6	0.05	105.3	0.44

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge